



საქართველოს ბიზნესის აკადემია -SBA

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

საბაჟო საქმე

თბილისი

2018

წინასიტყვაობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე 2018 წლის 5 თებერვლის მონაცემებით არსებული „საბაჟო საქმის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები შესულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 28 თებერვლის წერილის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ვახტანგ ბოგველიშვილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება განპირობებულია საქართველოს შრომის ბაზრის კვლევის შედეგების, ბოლო წლებში ქვეყანაში ყველაზე მოთხოვნადი და დეფიციტური პროფესიების ანალიზის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების ინიციატივა განხილული და მოწონებულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის-SBA-ის სენატის მიერ. (22.01.2018, ოქმი N02; 21.02.2018, ოქმი N03)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შემოწმება წარმოებს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ, რომელიც არ აღმატება 12 თვეს.

პროგრამა მოწონებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2018 წლის 30 მარტს.

პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 30 მარტის N030 ბრძანებით.

პროგრამაში შესულია ცვლილებები საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის დირექტორის 2018 წლის 28 სექტემბრის N113 ბრძანებით.

პროგრამაში ცვლილებების შესულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის დირექტორის 2019 წლის 5 მარტის N012 ბრძანებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაჟო საქმე / Customs Study

2. სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა - 04116-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში / Higher Vocational Qualification in Customs Study

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ადამიანებისა და საკუთრების დაცვა“, კოდი 1032, აღმწერი - „შეისწავლის საზოგადოებისთვის გაწეულ მომსახურებებს, რომლების უკავშირდება, როგორც ადამიანებს ასევე მათი საკუთრების დაცვას. მოიცავს საპოლიციო მომზადებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახანძრო დაცვას და ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლას.“

4. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება

5. პროგრამის მიზანი: პროფესიული პროგრამის მიზანია საბაჟო საქმის სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს განახორციელოს საბაჟო საზღვრის კვეთასთან, საქონლის საბაჟო გაფორმებასთან, საბაჟო ზედამხედველობასთან, საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან, ასევე საბაჟო წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ამოცანები. პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

6. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება

7. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

საბაჟო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო (სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი), ისე კერძო სექტორში (საბროკერო, საკონსულტაციო, სავაჭრო, სამრეწველო, გადამზიდველი და ლოგისტიკური კომპანიები, დიპლომატიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საბაჟო საწყობები და ტერმინალები). საჯარო სექტორში ის შეიძლება დასაქმდეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის ან საბაჟო გაფორმების საბაჟო ოფიცრად, ხოლო კერძო სექტორში – საბაჟო ბროკერად, საბაჟო დეკლარანტად, საბაჟო გაფორმების სპეციალისტად. ეს ფუნქციები შესაძლოა შერწყმულ იქნეს ლოგისტიკის სპეციალისტის, საბაჟო ტერმინალის მომსახურების განყოფილების სპეციალისტების ფუნქციებთან. კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია შემდგომ საფეხურებზე ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულებით.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 52.29.1, 84.11.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3351

8. სტრუქტურა და მოდულები:

საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ინგლისურ ენაზე. მოცულობა შეადგენს 109,5 კრედიტს და მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს 65%, ხოლო თეორიულ კომპონენტს 35%. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არჩევით მოდულებს საერთო ხანგრძლივობის 18,6%-ის მოცულობით. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 20 სასწავლო თვე.

არჩევითი მოდულები შერჩეულ იქნა დარგის სპეციფიკისა და საერთაშორისო გამოყენების თვალსაზრისით. რაც დაეხმარება კურსდამთავრებულს დაკისრებული მოვალეობის უკეთ შესრულებაში.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 2	3
2	მეწარმეობა 3	3
3	რუსული ენა	5
სულ		11
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - საბაჟო საქმე	2
2	საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ)	4
3	საბაჟო ზედამხედველობა	4
4	ფიზიკური პირის კონტროლი	4
5	სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი	4
6	საქონლის წარმოშობის ქვეყნისა და საბაჟო ღირებულების განსაზღვრა	4
7	სასაქონლო ოპერაციები და საბაჟო გადასახდელები	6
8	საბაჟო დეკლარირება	5
9	საბაჟო გაფორმება	5
10	სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი	4
11	არასატარიფო ღონისძიებები	4
12	საბაჟო სამართალდარღვევის საქმისწარმოება	6
13	საწარმოო პრაქტიკა - საბაჟო საქმე	13
14	პრაქტიკული პროექტი - საბაჟო საქმე	6
15	Ms Excel	6
16	ბიზნეს ინგლისური - საბაჟო საქმე	5
სულ		82
არჩევითი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ლოგისტიკის საფუძვლები	5
2	საავტომობილო გადაზიდვები	4
3	სარკინიგზო გადაზიდვები	6
4	სერვის პლუსი	1,5
სულ		16,5

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამის სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. განახორციელოს საბაჟო ზედამხედველობა;
2. გააკონტროლოს ფიზიკური პირი;
3. გააკონტროლოს სატრანსპორტო საშუალებები;
4. განსაზღვროს საქონლის წარმოშობის ქვეყანა და საბაჟო ღირებულება;
5. განსაზღვროს სასაქონლო ოპერაცია და გააკეთოს ადმინისტრირება საბაჟო გადასახდელებს;
6. განახორციელოს საბაჟო დეკლარირება;
7. განახორციელოს საბაჟო გაფორმება;
8. განახორციელოს სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი;
9. განახორციელოს არასატარიფო ღონისძიებები;

10. განახორციელოს საბაჟო სამართალდარღვევის საქმისწარმოება.

9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში მოითხოვოს განმეორებით გასვლა სწავლის შედეგების დასადასტურებლად. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, მოდულის განმახორციელებელი პირების მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები; ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

10. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და მოქმედების ვადა

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პროფესიული სტანდარტი - საბაჟო საქმის სპეციალისტი
- საბაჟო საქმის ჩარჩო დოკუმენტი

13. ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება

პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე

პირს ინგლისური ენის კომპეტენცია უდასტურდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მტკიცებულების წარმოდგენის საფუძველზე:

- ა) თუ პირს წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე და წარმოადგენს აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- ბ) თუ პირმა წარმოადგინა საერთაშორისო დონეზე აღიარებული დოკუმენტი (ინგლისურის, როგორც მეორე უცხო ენის ტესტის ჩაბარების დოკუმენტი ან სხვა); დოკუმენტის წარმოდგენა არაა სავალდებულო, თუ პირი არის იმ ქვეყნიდან, რომლის სახელმწიფო ენაა ინგლისური.
- გ) თუ პირმა, აკადემიის მიერ დადგენილი წესით, წარმატებით გაიარა საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის მიერ ჩატარებული ინგლისური ენის სასერტიფიკატო გამოცდა.

პირებს, რომლებსაც არ უდასტურდებათ ინგლისური ენის კომპეტენცია ვერ ჩაირიცხებიან ინგლისურენოვან საბაჟო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

14. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტები

- შპს „ჯი თი ექსპრეს სერვისი“ - საბაჟო-სატერმინალ მომსახურება, თბილისი, ც. დადიანის ქ. N32
- შპს „გაკო ტერმინალი“, თბილისი, აეროპორტის დასახლება
- შპს „GREENWAY LOGISTIC LTD“, თბილისი, ც. დადიანის ქ. N7

15. დანართები:

დანართი 1 - მოდული რუსული ენა - 0230102

დანართი 2 - მოდული ინფორმაციული წიგნიერება 2 - 0610004

დანართი 3 - მოდული მეწარმეობა 3 - 0410005

დანართი 4 - მოდული გაცნობითი პრაქტიკა - საბაჟო საქმე - 0411601

დანართი 5 - მოდული საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სესესნ) - 0411602

დანართი 6 - მოდული საბაჟო ზედამხედველობა - 0411603

- დანართი 7 - მოდული ფიზიკური პირის კონტროლი - 0411604
- დანართი 8 - მოდული სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი - 0411605
- დანართი 9 - მოდული საქონლის წარმოშობის ქვეყნისა და საბაჟო ღირებულების განსაზღვრა - 0411606
- დანართი 10 - მოდული სასაქონლო ოპერაციები და საბაჟო გადასახდელები - 0411607
- დანართი 11 - მოდული საბაჟო დეკლარირება - 0411608
- დანართი 12 - მოდული საბაჟო გაფორმება - 0411609
- დანართი 13 - მოდული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი - 0411610
- დანართი 14 - მოდული არასატარიფო ღონისძიებები - 0411611
- დანართი 15 - მოდული საბაჟო სამართალდარღვევის საქმისწარმოება-0411612
- დანართი 16 - მოდული საწარმოო პრაქტიკა - საბაჟო საქმე - 0411613
- დანართი 17 - მოდული პრაქტიკული პროექტი - საბაჟო საქმე - 0411614
- დანართი 18 - მოდული Ms Excel - 0410705
- დანართი 19 - მოდული ბიზნეს ინგლისური - საბაჟო საქმე - 0411615
- დანართი 20 - მოდული ლოგისტიკის საფუძვლები - 0411313
- დანართი 21 - მოდული საავტომობილო გადაზიდვები - 0411316
- დანართი 22 - მოდული სერვისის პლუსი - 0411711
- დანართი 23 - მოდული სარკინიგზო გადაზიდვები - 0411319
- დანართი 24 - სასწავლო გეგმა
- დანართი 25 - ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ
- დანართი 26 - სასწავლო გარემო და მინიმალური მატერიალური რესურსი